ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.02.2016

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/16

შეკითხვა:

ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია მიღებული აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. აღნიშნულ ადვოკატს სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობას სთხოვს მოქალაქე, რომლისთვისაც ცნობილია ადვოკატის სპეციალიზაცია. შესაძლებელია თუ არა ადვოკატმა გაუწიოს მომსახურება მოქალაქეს?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: “ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული საქმიანობა.”

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ეთიკის კომისიამ, 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე #017/11, მიიჩნია, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს და აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში.“

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს #030/11 გადაწყვეტილებით ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას

საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით."

შეკითხვაში მითითებული ადვოკატი მოქმედებს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"-მ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია. ამდენად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული, კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება თავის მხრივ კლიენტის კვალიფიციური წარმომადგენლობის ერთგვარ გარანტიად გვევლინება. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ადვოკატის კვალიფიკაციის არქონა კლიენტის ინტერესებისათვის უდავოდ საფრთხის შემცველია ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის პირობებში, კლიენტი ვერ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში ან/და სასამართლოში, რაც თავის მხრივ, კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამდენად, თუ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი განახორციელებს მოქალაქის წარმომადგენლობას სამოქალაქო საქმეზე და იმოქმედებს როგორც ადვოკატი, მის მიერ კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წამომადგენლობის ვალდებულება დაირღვევა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთანავე, რადგან დავა, რომელიც კლიენტს უნდა ეწარმოებინა სამოქალაქო კატეგორიის დავას წარმოადგენდა, ხოლო ადვოკატს კვალიფიკაცია მხოლოდ სისხლის სამართალში ჰქონდა მინიჭებული.

გასათვალისწინებელია იმის განსაზღვრის აუცილებლობაც, მოქმედებდა თუ არა შეკითხვაში დასახელებული პირი როგორც მხოლოდ მხარის წარმომადგენელი თუ როგორც ადვოკატი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს პირველ ინსტანციაში, სამოქალაქო საქმეზე წარმომადგენლობა შეუძლია ნებისმიერ ქმედუნარიან პირს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. სპეციალიზაციის საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია კლიენტის ინფორმირების საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მიაწვდის ინფორმაციას პოტენციურ კლიენტს იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და კლიენტი აიღებს რისკს საკუთარ თავზე, რომ ამ ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში ან სხვა ორგანოში, სადაც აუცილებელი არ არის კონკრეტულად ადვოკატის სტატუსით წარმომადგენლის ჩართულობა, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ადვოკატი არ დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ადვოკატმა აუცილებლად უნდა განუმარტოს კლიენტს მისი სპეციალიზაციის შესახებ, აუხსნას, რომ იგი მოქმედებას ვერ განახორციელებს როგორც ადვოკატი, ვინაიდან ის არის სისხლის სამართლის სპეციალისტი, ამიტომ საქმეში მონაწილეობას მიიღებს, როგორც წარმომადგენელი და მხოლოდ წარმომადგენლის უფლებამოსილებით ისარგებლებს. სასურველია ადვოკატმა წერილობით

დააფიქსიროს აღნიშნული განმარტება და გამიჯნოს ადვოკატისა და წარმომადგენლის უფლებამოსილებანი.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს მინიჭებული აქვს ლიცენზია სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და კლიენტებს წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე, როგორც ადვოკატი, სავარაუდოდ, იგი დაარღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მიაწვდის ინფორმაციას პოტენციურ კლიენტს იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და კლიენტი აიღებს რისკს საკუთარ თავზე, რომ ამ ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში ან სხვა ორგანოში, სადაც აუცილებელი არ არის კონკრეტულად ადვოკატის სტატუსით წარმომადგენლის ჩართულობა, ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ადვოკატი არ დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

ადვოკატმა აუცილებლად უნდა განუმარტოს კლიენტს მისი სპეციალიზაციის შესახებ, აუხსნას, რომ იგი მოქმედებას ვერ განახორციელებს როგორც ადვოკატი და მხოლოდ წარმომადგენლის უფლებამოსილებით ისარგებლებს. სასურველია ადვოკატმა წერილობით დააფიქსიროს აღნიშნული განმარტება.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.